

# გეოგრაფია 12

## მოსწავლის წიგნი

მეორე ნაწილი



# სარჩევი

## თემა 1

### განვითარებული და განვითარებადი სამყარო

4

1. ურბანული და სამრეწველო  
ლანდშაფტები

6

2. ურბანიზაცია

25

3. ქალაქი: ფუნქციები, იერარქია,  
იერსახე, დაგეგმარება

46

4. აგლომერაცია, კონურბაცია, მეგა  
და ჭკვიანი ქალაქები

70

5. ქალაქური პრობლემები

91

6. გლობალური ინდექსები

120

7. უთანასწორობის შემცირება

142

## დანართი

## თემა 2

### გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

160

8. ტრანსნაციონალური კომპანიები  
და რემიტანსები

162

9. ტრანსნაციონალური მდინარეები

182

10. სანაპირო ზოლის ერთობლივი  
ათვისება

194

11. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება

213

12. კოფის ინდექსი, გლოკალიზაცია  
(გლოსალიზაცია)

231

13. საერთაშორისო ორგანიზაციები

241

14. იუნესკოს მსოფლიო  
მემკვიდრეობა

255

15. დაცული ტერიტორიები

275

16. კრიტიკული ეკორეგიონები

293

17. მწვანე პოლიტიკა

315

## დანართი

## თემა 2

# გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

### აქ შეიტყობ, რომ...

- ◆ გლობალური თანამშრომლობის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების (მთლიანობა) გათვალისწინება;
- ◆ განვითარებულ და განვითარებად სამყაროში მიმდინარე პროცესები მჭიდრო კავშირშია ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან;
- ◆ საერთაშორისო ორგანიზაციები უდიდეს როლს ასრულებენ თანამედროვე სამყაროში;
- ◆ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვანია გლობალური თანამშრომლობა და „მწვანე პოლიტიკის“ გატარება.

## თემის შესახებ

XXI საუკუნის მზარდი გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო თანამშრომლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული გარემოსდაცვითი და განვითარების პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოებმა პარტნიორობის ახალი ფორმა შექმნეს. ეს გლობალური თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს, ჩაერთონ მუდმივ და კონსტრუქციულ დიალოგში, რაც გამოწვეულია უფრო ეფექტური და სამართლიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნის აუცილებლობით, საზოგადოებებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თითოეული სახელმწიფოს მდგრადი განვითარება პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში.

ასეთი პარტნიორობის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კონფრონტაციის სულისკვეთების დაძლევა და ჭეშმარიტი თანამშრომლობისა და სოლიდარობის ატმოსფეროს შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება ახალ რეალობასთან ადაპტაციის მიზნით.

## 8. ტრანსნაციონალური კომპანიები და რემიტანსები

### გაიხსენე

1. რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებასა და ეკონომიკურ გლობალიზაციაზე?
2. რომელ ტრანსნაციონალურ კომპანიებს იცნობ?
3. მიგრაციის როგორი სახეა შრომითი მიგრაცია და რა ფაქტორები განაპირობებს მას?
4. როგორია თანამედროვე მსოფლიოში შრომითი მიგრაციების ძირითადი მიმართულებები და რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია მიმღებ და გამშვებ ქვეყნებზე?

#### აქტივი

ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების, იურიდიული და ფიზიკური პირების წევის-მიერი საკუთრება.

#### დემპინგური ფასი

ფასი, რომელიც შიდა ბაზრის ფასებთან (მათ შორის, წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებთან) შედარებით განზრას შემცირებულია. მას გამყიდველი ანესებს ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით.

#### პრეფერენცია

ზომა, რომელიც რომელიმე პირს, სახელმწიფოს ან ორგანიზაციას ანიჭებს ეკონომიკურ ან რამდენ სხვა სახის უპირატესობას.

#### რიმესა

საგადასახადო დოკუმენტი საერთაშორისო ანგარიშსნორებისა და საერთაშორისო ფულადი გზავნილების უცხოურ ვალუტაში მისაღებად.

### რა არის და როგორ გაჩნდნენ ტრანსნაციონალური კომპანიები?

ტრანსნაციონალური კომპანია /კორპორაცია (ტრანსნაციონალური კომპანია – ტრნკ) ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ფლობს საწარმოო ქვედანაყოფებს ან მინიმუმ ორ ქვეყანაში მაინც აწარმოებს მომსახურებას. სხვა სიტყვებით, ტრანსნაციონალური კომპანია მსხვილი ფირმა ან ფირმების გაერთიანებაა, რომელსაც აქვს საზღვარგარეთული აქტივები და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში.

- ✓ სურ. 8.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ძირითადი მახასიათებლები

ისინი ფილიალებისა და შეილობილი კომპანიების დიდი ქსელის საშუალებით აგროვებენ კაპიტალსა და სხვა რესურსებს იმ დროსა და იმ სფეროებში, სადაც მათი საქმიანობა ყველაზე ეფექტურია.

უფრო მეტი წედომა აქვთ სამეცნიერო და ტექნილოგიურ მიღწევებზე

აქვთ საკუთარი, მნიშვნელოვანი კაპიტალი და წედომა დიდი რაოდენობით რესურსებზე.

ერთ ქვეყანაში სირთულეების წარმოქმნისას შეუძლიათ იპოვონ საექსპორტო ბაზარი სხვაგან, სადაც მათ პროდუქტებზე მეტი მოთხოვნაა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ძირითადი მახასიათებლები

ეკონომიკური მდგრადიბისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსყოფად ასეთ კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ პორტფოლიო და ვერტიკალური ინტეგრაცია.

აქვთ სანდო ინფორმაცია ადგილობრივ ბაზრებზე მუშაობისა და მომხმარებელთა მახასიათებლების შესახებ პროდუქციის მომხმარებელ ქვეყნებში.

რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულთ, მათ შეუძლიათ აირჩიონ სათავო კომპანიის ადგილმდებარეობა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

ზოგიერთი დიდი ტრანსნაციონალური კომპანიის ბიუჯეტი ბევრი ქვეყნის ბიუჯეტს აღემატება. ამგვარ კომპანიებს, დიდი ფინანსური რესურსების გამო, ძლიერი გავლენა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობებზე, ასევე ადგილობრივ ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და პოლიტიკაზეც კი.

ტრანსნაციონალურ კომპანიებში შედის არა მხოლოდ მწარმოებელი კომპანიები, როგორებიცაა, მაგალითად, სიმენსი (Siemens) ან მაიკროსოფტი (Microsoft), არამედ ტრანსნაციონალური ბანკები, სატელეკომუნიკაციო, სადაზღვევო და აუდიტორული კომპანიები, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები.

ტრანსნაციონალური კომპანიების შესაფასებლად არსებობს სპეციალური ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას გულისხმობს: უცხოური აქტივების ნილი აქტივების მთლიან მოცულობაში; საზღვარგარეთული გაყიდვების ნილი გაყიდვების მთელ მოცულობაში; საზღვარგარეთის ფილიალებში მომუშავეთა ნილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ტნკ-თვის უცხოური ფილიალები და საგარეო ბაზრები. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით მეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის მისი უცხოური ფილიალების არსებობა-საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვების მოცულობა აღემატება მსოფლიო ვაჭრობის 25%-ს, ამასთან, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის 30-35% საზღვარგარეთის ფილიალებზე მოდის.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის მაღალი მაჩვენებლით ისეთი კომპანიები გამოირჩევა, როგორებიცაა: ნესტლე (Nestle, შვეიცარია), უნილევერი (Unilever, ნიდერლანდები), ფილიპს ელექტრონიკსი (Philips Electronics, ნიდერლანდები), ბაიერი (Bayer, გერმანია), ტოლტალი (Total, საფრანგეთი), ჯილეტი (Gillette, აშშ), ექსონი (Exxon, აშშ), ალკატელი (Alcatel, საფრანგეთი), ჰონდა (Honda, იაპონია), სონი (Sony, იაპონია), ბმვ (BMW, გერმანია), ვოლვო (Volvo, შვედეთი), ბასფი (BASF, გერმანია), მაკდონალდსი (McDonalds, აშშ), ფოლკსვაგენ ჯგუფი (Volkswagen როუპ, გერმანია), აიბიმი (IBM, აშშ), სიმენსი (Siemens, გერმანია), ბოში (Bosch, გერმანია), დეუ (Daewoo, სამხრეთ კორეა), ჯონსონ ენდ ჯონსონი (Johnson&Johnson, აშშ), ქსეროქსი (Xerox, აშშ) და სხვა.

## ფირმა

იურიდიული პირის უფლების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი.

## დავალება

1. გაეცანი ტრანსნაციონალური კომპანიების განმარტებებს და შეეცადეთ თავად განმარტო, რა არის ტრანსნაციონალური კომპანია.
2. კომპანია, რომლის ბიზნესი გლობალური მნიშვნელობისაა;
3. კომპანია, რომლის უცხოური აქტივები მისი მთლიანი წარმოების მოცულობის დაახლოებით 25-30%-ს შეადგენს და ფილიალები აქვს ორ ან მეტ ქვეყანაში.
4. კომპანია, რომელსაც არანაკლებ ორ ქვეყანაში აქვს ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობითა და ცენტრალიზებულად შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკით დაკავშირებული საწარმოები.
5. გამოიკვლე, რომელი ტრანსნაციონალური კომპანიების პროდუქტებს იყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

## შემთხვევის ანალიზი 1

გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს:

ტრანსნაციონალურ კომპანიებს ჩამოყალიბებისა და განვითარების საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ისტორია აქვთ.

თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიის წინამორბედად მიიჩნევენ ბრიტანულ აღმოსავლეთ ინდოეთის (ოსტინდოეთის) კომპანიას, რომელიც 1600 წელს დაარსდა აღმოსავლეთ ინდოეთთან სავაჭრო კავშირის ხელშეწყობის მიზნით, იმავე წელს მიღებული სამეფო ქარტიის წყალობით კი პირველ ევროპულ ტრანსნაციონალურ კომპანიად იქცა. მოგვიანებით მას ბრიტანული სააქციო საზოგადოება ეწოდა.

კომპანიის აქციონერები უმდიდრესი ვაჭრები და არისტოკრატები იყვნენ, მაშინ როცა მთავრობა არც აქციებს ფლობდა და არც პირდაპირი კონტროლის საშუალება გააჩნდა.

ოსტინდოეთის კომპანია ძირითადად ბამბით, აბრეშუმით, ჩაით, ინდიგოთი, კალიუმის ნიტრატით და ოპიუმით ვაჭრობდა. მას ჰყავდა საკუთარი ჯარი, რომლის საშუალებითაც მთელ ინდოეთს აკონტროლებდა როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. კომპანიის მმართველობა ინდოეთში 1757 წელს დაიწყო, თავისი არსებობა კი მან 1874 წელს, ოსტინდოეთის საფონდო დივიდენდების გაცემის აქტით დაასრულა.

1602 წელს დაარსდა მსოფლიოში პირველი სააქციო კომპანია, რომელსაც პოლანდიური აღმოსავლეთ ინდოეთის (ოსტინდოეთის) კომპანიის სახელით ვიცნობთ. მან 1798 წლამდე იარსება. პოლანდიურმა ოსტინდოეთის კომპანიამ სავაჭრო პუნქტების მთელი ქსელი დააარსა, მათ შორის – კეთილი იმედის კონცხზე, სპარსეთში, ბენგალში, მალაკაში (ახლანდელი მალაიზიის ნაწილი), ჩინეთში, სიამსა და ფორმოზაში (ახლანდელი ტაივანი).

პოლანდიური ოსტინდოეთის კომპანია უმდიდრესი იყო იმ ეპოქისთვის. ის 150-ზე მეტ სავაჭრო და 40 სამხედრო ხომალდს ფლობდა და 50 000-ზე მეტი ადამიანი (მათ შორის 25 000 თანამშრომელი აზიაში) ჰყავდა დასაქმებული.

კომპანიას აზიის ბევრ ქვეყანასთან ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობები. ის ჩაით, სპილენძით, ვერცხლით, ქსოვილებით, ბამბით, აბრეშუმით, კერამიკით, სანელებლებითა და ოპიუმით ვაჭრობდა იაპონიასთან, ჩინეთთან, ცეილონთან, ინდონეზიასთან და მონოპოლიზებული ჰქონდა ვაჭრობა ამ ქვეყნებთან. ეს იყო მსოფლიოში პირველი მეგაკომპანია, რომელსაც გარკვეულწილად სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებაც გააჩნდა, მაგალითად, შეეძლო ომის დაწყება, პოლიტიკურ კამათში ჩართვა, მონეტების გამოშვება და კოლონიების დაარსებაც კი.



### კითხვები

- ა. რა მოვლენებმა განაპირობა ბრიტანული და პოლანდიური ტრანსნაციონალური კომპანიების ჩამოყალიბება?
- ბ. შეადარე ერთმანეთს ბრიტანული და პოლანდიური ოსტინდოეთის კომპანიების მიზნები, სავაჭრო სფერო, ვაჭრობის გეოგრაფია და გამოიტანე დასკვნა.

პირველი თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ჩაისახა, თუმცა XX საუკუნემდე უმეტესწილად სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ და კაპიტალიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ვერ შეასრულეს. ისინი მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისიდან გადაიქცნენ ახალი ტიპის ტრანსნაციონალურ კომპანიებად.

❖ სურ. 8.2.  
ტრანსნაციონალური  
კომპანიების  
განვითარების ეტაპები

**პირველი ეტაპი:** XX საუკუნის პირველი ნახევარი. კომპანიები კაპიტალს აპარდები სუსტად განვითარებული ქვეყნების სანებლეულო დარგებში, სადაც არ არსებოს მაღალტექნოლოგიური წარმოება.

**მეორე ეტაპი:** XX საუკუნის მეორე ნახევარი. იწყება უცხოური საწარმოო ქვედანა-ყოფების როლის გაძლიერება. ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებული ადგილობრივი მოთხოვნის დაემაყოფილებაზე. ამ ეტაპზე მათი განვითარება ძირითადად ტექნოლოგიების დანერგვისა და მსოფლიო მასშტაბით წარმოების სივრცობრივ დეცენტრალიზაციას ეფუძნება.

**მესამე ეტაპი:** XX საუკუნის 90-იანი წლები. იქმნება წარმოებისა და რეალიზაციის გლობალური ქსელი, რაც წარმოებისა და გასაღებების სარჯების სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნება. სანარმოები, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებშია განლაგებული, სადაც წარმოების ხარჯები დაბალია, რეალიზაცია კი განვითარებულ ქვეყნებში ხდება, სადაც მოთხოვნა შედარებით მაღალია.

XX ს-ის ბოლოს მომხდარი მოვლენების გამო ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა ახალი რეგიონები, ახალი ბაზრები და ეკონომიკის ახალი დარგები აითვისეს. ამავე დროს მუდმივად ვითარდება რეგიონული ინტეგრაცია, ქვეყნები დებენ ხელშეკრულებებს და წევრიანდებიან სხვადასხვა ეკონომიკურ კავშირებში, რაც ამცირებს სავაჭრო პარიერებს და ზრდის ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობების შესაძლებლობებს.

### დავალება

- ახსენი, რა იგულისხმება ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ათვისებულ ახალ რეგიონებში, ახალ ბაზრებსა და ეკონომიკის ახალ დარგებში.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს დიდი მენეჯერული შესაძლებლობები, ფინანსური საშუალებები და ტექნიკური რესურსები აქვთ. XXI ს-ის დასაწყისში მსოფლიოში 70 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია და მათი თითქმის 850 ათასი ფილიალი არსებობდა. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტრანსნალური კომპანიდან 170 ევროპულია, 162 – ამერიკული, 126 – იაპონური, ხოლო 42 სხვა ქვეყნებიდანაა (სათავო ოფისის მიხედვით).

ტრანსნაციონალურ კომპანიებზე მსოფლიოს სამრეწველო წარმოების 50% საგარეო ვაჭრობის 2/3, გამოგონებების, ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს პატენტებისა და ლიცენზიების 80% მოდის. ეს კომპანიები აკონტროლებენ ცალკეულ სასაქონლო ბაზრებს, მაგალითად, ხორბლის, ყავის, სიმინდის, ხე-ტყის მასალების, თამბაქოს, თუჯის და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%-ს, სპილენძისა და ბოქსიტების ბაზრის 85%-ს, ტყვიისა და კალის 80%-ს, ნედლი ნავთობის, ნატურალური კაუჩუკისა და ბანანის ბაზრის 75%-ს.


ტრანსნაციონალური კომპანიების სანარმოებში 75 მლნ-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, ხოლო ინფრასტრუქტურული და შერეული დარგების გათვალისწინებით – 2-ჯერ მეტი. ისინი ყოველწლიურად ერთი ტრილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციას აწარმოებენ.

ტრანსნაციონალური კორპორაციის ძირითადი მიზანი მსოფლიო ბაზრებისთვის პროდუქციის მაქსიმალურად დაბალ ფასში წარმოებაა. ამ მიზნის მიღწევა კი პროდუქციის წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილის

შერჩევით ან მასპინძელი სახელმწიფოსაგან საგადასახადო შეღავათების მიღებითაა შესაძლებელი. ტრანსნაციონალური კომპანიას აქვს სათავო ოფისი ერთ სახელმწიფოში და ფილიალები სხვა სახელმწიფოებში. იმ ქვეყანას, სადაც კომპანიის შტაბ-ბინა მდებარეობს, საბაზო ქვეყანა ჰქვია, ხოლო სადაც ამ კომპანიებს თავიანთი საწარმოები აქვთ განთავსებული – მიმღები ქვეყანა.

როგორც წესი, ტრანსნაციონალური კორპორაციების მმართველი კომპანიები და ცენტრები მსოფლიო მნიშვნელობის, ე.წ. გლობალურ ქალაქებშია განლაგებული, წარმოება კი პერიფერიულ რაიონებში ან განვითარებად ქვეყნებშია გატანილი.

**სურ. 8.3. მსოფლიოს  
გლობალური ქალაქები  
ტრანსნაციონალური  
კომპანიების შტაბ-  
ბინების რაოდენობის  
მიხედვით (2022 წელი)**



თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის წყალობით, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მყარად მოიკიდეს ფეხი მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. უზარმაზარი კაპიტალის მფლობელი ეს კომპანიები აქტიურად არიან ჩართული ქვეყნების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### დავალება

4. გაეცანი სურ. 8.3-ს და ახსენი, რაზე მეტყველებს ტრანსნაციონალური კომპანიების შტაბ-ბინების გეოგრაფია.
5. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გლობალიზაციის საპასუხოდ ამჟამად ტრანსნაციონალური კორპორაციის ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდანაც.
6. იმსჯელე, რა როლს ასრულებენ ტრანსნაციონალური კომპანიები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მართალია, თითქმის ყველა უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანია ეკუთვნის ტრიადას – აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია-ჩინეთი, მაგრამ ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ გააქტიურდნენ კორპორაციები ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდანაც.

შეცვალეთ სამყარო!  
უურნალ Forbes-ის დევიზი



## უურნალი Forbes-ი

ამერიკული ფინანსურ-ეკონომიკური ჟურნალი Forbes-ი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული ეკონომიკური პეტდევითი გამოცემაა. ის 1917 წელს დააარსა ბერტი ჩარლზ ფორბესმა.

ჟურნალი Forbes-ი მკითხველს სთავაზობს ამბეჭს როგორც წარმატებული პროექტებისა და პროდუქტების, ასევე პროექტების წარუმატებლობისა და მათი მიზეზების შესახებ, აცნობს ცნობილი მენარმების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, გახმაურებული მოვლენების მიზეზებსა და შედეგებს, აქვეყნებს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებისა და კომპანიების რეიტინგებს და სხვ.

ჟურნალმა ბიზნეს სამყაროში აღიარება თამა-მი გამოკვლევებისა და მოვლენების ობიექტური შეფასების, ასევე მის მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა სიებისა და რეიტინგების წყალობით მოიპოვა. მათ შორის ყველაზე ცნობილი მსოფლიო მილიარდერების სია იყო.

ჟურნალი Forbes-ი ყოველწლიურად აქვეყნის:

**Forbes**



<https://goo.su/zPlOHag>

<https://forbes.ge/>



თუ გინდა მეტი  
შეიტყო ჟურნალ  
„ფორბსის“  
შესახებ, ენვიე  
ვებგვერდებს:

## როგორი ტრანსნაციონალური კომპანიები არსებობს?

ტრანსნაციონალური კორპორაციები მრავალფეროვანია და ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რის გამოც დღეს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ იმით, თუ რას ანარმობენ, არამედ იმითაც, თუ როგორ ანარმობენ: ტექნოლოგიის დონით, მენეჯმენტის სტილით და მათი პროდუქციის ბაზრის სტრუქტურით. მენეჯმენტი და მარკეტინგი ასეთ კორპორაციებში ხშირად შერეულია. ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სწორად წარმართული მარკეტინგის შედეგად პროდუქცია მთელ მსოფლიოში იყიდება. უმეტესად, ტრანსნაციონალური კორპორაციები რამდენიმე ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარებიან, რაც აძნელებს მათ გაკონტროლებას ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიერ.

თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები სხვადასხვა ნიშნით განსხვავდებიან. ესენია: მათი სიდიდე და ფილიალების რაოდენობა, საქმიანობის ტიპი (მოპოვებითი, სამრეწველო, მომსახურება, ტურიზმი, სასტუმრო სერვისი, დაზღვევა, ფინანსები, ტრანსპორტი, სასოფლო-სამეურნეო), უცხოურ ფილიალებთან კავშირის ტიპი, საკუთრების ფორმა (მაგალითად, მთლიანი, ნაწილობრივი ან ერთობლივი).

საქმიანობის ტიპის მიხედვით კომპანიები არსებობს მატერიალური და არამატერიალური წარმოების, ხოლო მასპინძელი ქვეყნების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოშია განლაგებული. მაგალითად, ნავთობისა და გაზის ტრანსნაციონალურ კომპანია Shell-ს („Royal Dutch Shell“) ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოში აქვს ფილიალები, ხოლო ელექტროტექნიკის სფეროს გიგანტ კომპანია „სონის“ – არსად, იაპონიის გარდა.

საქმიანობის მასშტაბისა და ფინანსების წლიური ბრუნვის მიხედვით განასხვავებენ მცირე (3-4 უცხოური ფილიალი) და მსხვილ (ათეულობით ფილიალი სხვადასხვა ქვეყანაში) ტრანსნაციონალურ კომპანიებს.

სპეციალიზაციის დარგების რაოდენობით გამოირჩევა მარტივი (ერთი პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზებული) და რთული (მრავალ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზებული) კომპანიები. მარტივი კომპანიის მაგალითია ამერიკული IBM, რომელიც მხოლოდ კომპიუტერებს ანარმობს, ხოლო რთული ტრანსნაციონალური კომპანიაა, მაგალითად, Nestle, რომელიც როგორც საკვებ პროდუქტებს, ასევე სასმელებს ანარმოებს.

### შემთხვევის ანალიზი 2

#### გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს:

გერმანული სპორტული ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და აღჭურვილობის უმსხვილესი მწარმოებლის, ტრანსნაციონალური კომპანია „ადიდასის“ ისტორია 1948 წელს იწყება. ძმებმა ადოლფ და რუდოლფ დასლერებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და გადაწყვიტეს, 1924 წელს დაარსებული საოჯახო ბიზნესი – „ძმები დასლერების ფეხსაცმლის ფაბრიკა“ დაე-



შალათ. ეს გადაწყვეტილება გახდა ორი ცნობილი ბრენდისა და მარადიული კონკურენტის – Adidas-ისა და Puma-ს შექმნის მიზეზი: ადოლფი Adidas-ის მფლობელი გახდა, რუდოლფი კი – Puma-სი.

ადოლფ დასლერის გარდაცვალების შემდეგ კომპანიას სათავეში მისი მეუღლე ჩაუდგა. 1984 წელს, დედის სიკვდილის შემდეგ, მართვა მათმა შვილმა, ჰორსტ დასლერმა გადაიპარა, მაგრამ მოულოდნელად, 1987 წელს ისიც გარდაიცვალა. მისმა დებმა კომპანია ფრანგ ბიზნესმენს და მოგვიანებით მინისტრს, ბერნად ტაპის მიჰყიდეს 1.6 მილიარდ ფრანგულ ფრანკად. ტაპიმ „ადიდასის“ საწარმოები აზიაში გადაიტანა, რადგან წარმოება იქ გაცილებით იაფი ჯდებოდა.

1997 წელს ტაპი „ჩანცყობილ“ თამაშებში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს. 2000 წელს, სესხის გადაუხდელობის გამო, ბანკმა „ადიდასი“ კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს, ლუი-დრეიფუსს მიჰყიდა 4.5 მილიარდ ფრანკად. ლუი-დრეიფუსი საკმაოდ წარმატებული მმართველი იყო – 1993-დან 2000 წლამდე მან კომპანიის შემოსავლები გააოთხმავა.

2006 წელს „ადიდასმა“ კომპანია „რიბოკი“ შეისყიდა და ამით „ნაიკის“ მთავარი კონკურენტი გახდა მსოფლიოში. 2018 წელს კომპანიის შემოსავლებმა 25 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც მოგება 2.5 მილიარდი დოლარი იყო. კომპანიის აქტივები 17 მილიარდ დოლარამდე არის შეფასებული.

კომპანიაში 57 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

„ადიდასის“ სათავო ოფისი ისევ გერმანიის იმ პატარა ქალაქ ჰერცოგენაურახში (ბავარია) მდებარეობს, სადაც კომპანიის ისტორია დაიწყო.

ის სპორტული ტანსაცმლის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი კომპანიაა ევროპაში, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილზეა „ნაიკის“ შემდეგ. დღეს ადიდასი აწარმოებს ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, სპორტულ აქსესუარებს, ჩანთებს, ბურთებს, სუნამოებს. არის სხვადასხვა სპორტში რამდენიმე გუნდის სპონსორი, ხოლო მის პროდუქციას რეკლამას უკეთებენ მესი, სალაპი, პოგბა, მარსელო, იოზილი, ბეილი, დიბალა და სხვა ცნობილი სპორტსმენები.



### კითხვები

- ა. როგორ ფიქრობ, რა დროიდან შეიძლება ჩაითვალოს „ადიდასი“ ტრანსაციონალურ კომპანიად?

- ბ. როგორი ტრანსაციონალური კომპანიაა „ადიდასი“ საქმიანობის ტიპის მიხედვით?